KA011802183962119

30 / სექტემბერი / 2019 წ.

№ 197135

სახელმწიფო სერვისების განვითარების
სააგენტოს მხარდაჭერის დეპარტამენტის
დირექტორს ქალბატონ ნინო ინწკირველს

მოხსენებითი ბარათი

ქალბატონო ნინო,

როგორც მოგეხსენებათ 2015 წლის 25 დეკემბრიდან მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ სადახლოში ფუნქციონირებს საზოგადოებრივი ცენტრი. აღნიშნულ სოფელში წყალმომარაგების სისტემის არ არსებობის გამო საზოგადოებრივ ცენტრს, მისი გახსნის დღიდან აქვს წყლის პრობლემა.
სოფელ სადახლოში 2018 წელს დაიწყო და 2019 წლის აგვისტოში დასრულდა წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა, რომელსაც ოპერირებას უწევს შპს "მარნეულის სოფწყალი". აღნიშნული კომპანია მოქმედებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 26 ნოემბრის № 32 დადგენილების ფარგლებში. წყალმომარაგების ქსელზე მიერთების განაცხადის წარდგენამდე, ამავე დადგენილების მე-181 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, განმცხადებელი ვალდებულია წინასწარ გადაიხადოს მოთხოვნილი სიმძლავრის (წყალმომარაგების მილი დ=32მმ) შესაბამისი, ამავე დადგენილების დანართი № 3-ში ასახული საფასურის 50%.

გთხოვთ დაავალოთ შესაბამის სამსახურებს მოახდინონ წინასწარ გადასახდელი საფასურის - 325.00 (სამას ოცდა ხუთი ლარი და 00 თეთრი) ლარის გადარიცხვა კომპანიის მიერ მითითებულ ანგარიშზე.

დანართი: 1. შპს „მარნეულის სოფწყალი“-ს საბანკო რეკვიზიტები - 1 ფურცერლი.

პატივისცემით;

შესყიდვების სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მარინე გვრიტიშვილი